

**სააღრიცხვო პოლიტიკა და
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის**

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „კრაფტი“ - რესტორანი „2 ტონა“ 2017 წელს დაარსდა, სწორედ მაშინ, როდესაც ქართულ ბაზარზე ამის მოთხოვნა გაჩნდა. იგი დედაქალაქის გარე უბანში, ვარკეთილის ტერიტორიაზე მდებარეობს. ადგილმდებარეობა ბიზნეს კონცეფციიდან გამომდინარე სტრატეგიულად და მიზან-მიმართულად იქნა შერჩეული. პროექტის წარმატებულობიდან გამომდინარე, 2019 წელს კომპანიამ გლდანი-მუხიანის ტერიტორიაზე კიდევ ერთი „2 ტონა“ დაარსა, შედარებით დიდი მოცულობის და თანამედროვე დიზიანით გაწყობილი.

როდესაც ტრადიცია ერწყმის ცნობისმოყვარეობას, თანამედროვეებას და ახალ ტენდეციებს; ამერიკულ-ქართულ ვინტაჟური ვიზუალის და სტილისტიკის მქონე გარემო, თქვენ ქართული სამზარეულოსა და კრაფტ ლუდის მრავალფეროვან სამყაროში მოგახვედრებთ, რომელიც განსაკუთრებულად საინტერესოა და შექმნილია მხოლოდ თქვენთვის.

**2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და
სააღრიცხვო პოლიტიკა**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

- ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით
- სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.
- მოგების გადასახდის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადებისა და გადავადებული გადასახადების ჯამი.
- მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას. გადავადებული გადასახადი აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და მათ შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის სხვაობასთან (ე.წ. დროებითი სხვაობა) მიმართებით. ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით, რომელიც მოსალოდნელია რომ მომავალში გაზრდის საგადასახდო მოგებას, აღიარდება გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები. გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში შეამცირებს საგადასახადო მოგებას ასევე ყველა გამოუყენებელ საგადასახადო ზარალთან, ან გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტთან მიმართებით. გადავადებულ საგადასახადო აქტივების შეფასება ხდება მაქსიმალური შესაძლო თანხით, რომლის აღდგენაც უფრო მოსალოდნელია, ვიდრე არა, მიმდინარე საგადასახადო მოგებისა, თუ შეფასებული მომავალი საგადასახდო მოგების საფუძველზე.
- გადავადებული საგადასახადო აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი სააგარიშგებო თარიღისათვის და მისი კორექტირება ხდება მომავალი საგადასახადო მოგების მიმდინარე შეფასების ასახვის მიზნით. ნებისმიერი კორექტირების თანხა აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

- გადავადებული გადასახადი გაიანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომლებიც, სავარაუდოდ, გავრცელდება იმ პერიოდების საგადასახადო მოგებაზე (საგადასახად ზარალზე), როდესაც საწარმო მოელის გადავადებული საგადასახადო აქტივის გამოყენებას ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულების დაფარვას და უკვე ძალაში შესულია, ან არსებითად ძალაში შესულია საანგარიშგებო თარიღისთვის.
- ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.
- არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივის განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო - მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო -მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

- იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი

საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.
- რეალიზაცია, ძირითადად ხორციელდება ორი ფორმით, ესენია ნაღდი ანგარიშსწორება და ბარათით (“პოს” ტერმინალის საშუალებით).
- სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში..
- ბანკის სესხის საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. ამონაგები

	2020 წელი	2019 წელი	2018 წელი
საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	795 613	887 571	2 331 890
მომსახურებით მიღებული შემოსავალი	2 370 418	2 694 054	470 809

4. ფინანსური დანახარჯები

	2020 წელი	2019 წელი	2018 წელი
ბანკის სესხის პროცენტი		27 406	
ფინანსური იჯარის პროცენტი	123 763	152 409	91 443

5. მოგება დაბეგვრამდე

შემდეგი მუხლები აღიარებულ იქნა ხარჯად (შემოსავლად) დაბეგვრამდე მოგების განსაზღვრისას:

	2020 წელი	2019 წელი	2018 წელი
ხარჯად აღიარებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება	1 859 588	2 201 365	1 599 638
საეჭრო ვალდებულებებზე საკურსო სხვაობის შედეგად მიღებული შემოსავალი	4228	10948	3339,83
ზარალი	12 370	2206,14	804,54
(რომელიც ჩართულია შემოსავალში და ხარჯებში)			

6. საეჭრო და სხვამოთხოვნები

	2020 წელი	2019 წელი	2018 წელი
საეჭრო დებიტორები	242 184	124 740	51 891
წინასწარი გადახდები	12 528	14 712	6 599

7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2020 წელი	2019 წელი	2018 წელი
ნედლეული და მასალები	43 381	92 386	57 081

დაუმთავრებელი წარმოება

მზა პროდუქცია

8. ძირითადი საშუალებები

2020 წელი 2019 წელი 2018 წელი

მიწა და შენობა-ნაგებობები

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა

3 000 279 3 131 491 2 713 712

9. სავაჭრო ვალდებულებები

2020 წელი 2019 წელი 2018 წელი

მოკლევადიანი ვალდებულება

347 066 428 394 223 574

ფინანსური იჯარის ვალდებულება

817 965 959 713 1 107 301

მიმდინარე სასესხო ვალდებულება

412 453 130 475

საგადასახადო ვალდებულება

176 950 118 906 24 887

ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ

1055

10. კაპიტალი

2020 წლის 31 დეკემბრისთვის კაპიტალის ნაშთი შეადგენს 1 991 250 ლარს, რომელიც შედგება დამფუძნებელთა შენატანისგან.

11. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

2020 წელი 2019 წელი 2018 წელი

fuladi saxsrebi salaroSi

30 701 29 016 30 826

ფულადი სახსრები ბანკში

1658 14 005 25 248

12. finansuri anqariSgebis damtkiceba

direqtorოs finansuri angariSgeba daamtkica da misi gamocemis
nebarTva gasca 2021 wlis 30 marts.

ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	32359	43021	56074
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	242183	124740	51891
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	12528	14712	6599
მარაგები	43381	92386	57081
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	43381	92386	57081
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	2501	8114	8114
ძირითადი საშუალებები	3000279	3131491	2713712
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა სანარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	3333231	3414464	2893471
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	817965	959713	1107301
სავაჭრო ვალდებულებები	347066	428394	223574
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	1055
საგადასახადო ვალდებულებები	176950	118906	24887
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	412453	130475
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	1341981	1919466	1487292
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში - 'კაპიტალი')	1991250	1494998	1406179
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	0	0	0
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	1991250	1494998	1406179
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3333231	3414464	2893471
სულ მოკლევადიანი აქტივები	330452	274859	171645
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	0	0	0

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	31/12/2020	31/12/2019
ნეტო ამონაგები	3291753	3581625
საქონლის გაყიდვიდან	795613	887571
მომსახურების განწევადან	2370418	2694054
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	125722	0
გაყიდვების თვითღირებულება	-1859588	-2201365
საწყისი მარაგები	0	-57081
მარაგების შესყიდვა	0	-2236670
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	92386
საერთო მოგება	1432165	1380260
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	166528
დასაქმებულთა ანაზღაურება	-638452	-749336
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-146891	-113057
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-123763	-179815
იჯარის ხარჯი	-299368	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-734169	-1142509
სულ საოპერაციო ხარჯები	-1942643	-2018189
საოპერაციო მოგება	-510478	-637929
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-12370	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	4228	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით გაჭრობიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	50455	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი	-468165	-637929
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-468165	-637929
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გად	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავ	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-468165	-637929
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1494998	1406179
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა',	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	964417	726748
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1991250	1494998